ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] № 266 ხუთშაბათი, 27 ივნისი 1918 წ. № 266

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანიის, ავსტრიის და ბულგარეთის დელეგაციებმა საქართველოს მთავრობა ინახულეს.—დუშეთის მაზრაში არეულობა გრძელდება: არეულობის დროს მოჰკლეს ქალაქის კომისარი, აღმ. კომ. თავმჯდომარე და მრავალი სხვა პირი.—ხმებია: დარიალის ხეობა აჯანყებულებმა გახსნეს და ბოლშევიკები შემოუშვეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებების ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ყ. [illegible] „ნადელნი") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირს ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და ყოველგვარი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—28

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 3 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

კვირას ამა ივნისის 30 |17| დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

კიტა
აბაშიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება პირველის ნახევარზე.

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შენობ.
კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.
დღეს, ივნისის 27 ს გაიმართება
დიდი საგასტროლო წარმოდგენა
ვლადიმერ სლასტუშინსკისა. მონაწილეობენ აგრეთვე ძმ. რიგო, ვული და მათ, პ. ელიზაროვი, პეტერსონი და სხ.
მთავარი ადმინისტრატორი: ა. ელიზაროვი. 679

ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ

ქალაქის დუქნებთან კვლავ დიდი „კუდებია". შაქრის, პურის და სხვა სურსათის მისაღებად სახლის კომიტეტების დამოუკიდებლად, მოქალაქეებს მთელი საათობით უხდებოდა სიცხეში დგომა.

სახლის კომიტეტებმა თავის დროზე მოსპეს ეს „კუდები" და ამით მცხოვრებთ შეუმსუბუქეს მდგომარეობა. სახლის კომიტეტებს ეხლაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მცხოვრებლებს.

ამის გამო ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს საყურადღებოდ, რომ ივნისის 27-დან ქალაქის დუქნებიდან სურსათი მხოლოდ სახლის კომიტეტებს მიეცემა.

მცხოვრებლებმა თავისი ბარათები სახლის კომიტეტებს უნდა დაუბრუნონ, და ცალკე პირებს სურსათს არ მისცემენ.

1208 ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ივნისის დამლევს ვადა უთავდება მე-3 სერიის (აპრილის, მაისისა და ივნისის) სასურსათო ბარათებს და მე-8 სერიის (ივნისის) პურის ბარათებს. რათა უფრო მოხერხებულად მოეწყოს საქმე ივლისისთვის სასურსათო და პურის ბარათები საერთო ბარათით შეიცვლება: აღნიშნულ იქნება 31 ტალონი პურის, სამი თვიური ბარათი შაქრის (ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის) და 3 ნავთის ტალონი. ივლისის ბარათების გადაცემა აკრძალულია. მასზე თავისი გვარი უნდა დააწერონ პატრონებმა, ისე სურსათს ვერ მიიღებენ, სურსათის მისაღებად უთუოდ ბარათი უნდა წარადგინონ.

ივლისის ბარათებს მცხოვრებლებს მისცემენ ივნისის 26 დან, მხოლოდ სახლის კომიტეტებს, რომელთაც სახლის წიგნები და დოკუმენტები უნდა წარადგინონ. თვითეული სასურსათო ბარათი 10 შაურად ღირს, პურის—5 შაური.

ბარათების დარიგების გასაადვილებლად და მრავალი ხალხის ერთად დაგროვების თავიდან ასაცდენად საჭიროა: 1) სარეგისტრაციო უწყების და სახლის წიგნების გადასინჯვა-შესწორება, 2) იმ 3 რიგისათვის, რომელნიც დამატებითი რაციონით სარგებლობენ, ახალი მოწმობის წარდგენა კავშირიდან ან დაწესებულებათაგან, 3) ბარათების მიღება სახლის კომიტეტის ერთ წევრს უნდა მიენდოს, 4) ბარათების გამოცვლის დროს უნდა წარადგინოს კომიტეტის ყველა მოქალაქის ბარათები ერთად.

შენიშვნა: პიროვნების დამამოწმებელ დოკუმენტად ჩაითვლება: პასპორტი, მეტრიკა, მილიციის მოწმობა და სხვ.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. 1203

ახლად გადაკეთებულ სასადილო ყოფილ ბორდოში
იხსნება სასადილო 2-რე ტფილისის მშრომელთა არტელი 1-ლი ხარისხ.
გვაქვს. საუზმე სადილი და ვახშამი ხელსაყრელ ფასებში. სამსახური ზრდილობიანი და უპროცენტოდ. სადილი შესდგება ცხრა თავისაგან ამორჩევით. საუცხოო სიგრილე არის ჩვენ სასადილოში.
პატივისცემით 2-რე მშრომელთა ჯგუფი. მიხეილის ქუჩა № 10. 676

ექიმთა და ავადმყოფთა საყურადღებოდ
რადგანაც საზღვარ-გარეთულ „კლინ", „გესსნერ" და „კლაფერ"-ს და სხვა ფირმებიდან აღარაფერი კან ქვეშ შესაშხაპუნებელი პრეპარატები არ მოგვდის; ჩვენი ლაბორატორია ასრულებს ყოველ გვარი შესაშხაპუნებელი წამლების ამპულებში დამზადებას. ზემმელის აფთიაქის და ლაბორატორიის გამგე პროვიზორი მიხ. ჩხეიძე. 631

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის გამოკვების საინტენდანტო ნაწილი, სასურსათო საქმის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამით აცხადებს, რომ ჯარისთვის საჭიროა: ხორბალი, ქერი (შვრია), სიმინდი და თივა. ზემო ჩამოთვლილი სურსათი მიიღება საინტენდანტო სასურსათო საწყობებში და რკინის გზის სადგურებზე სახაზინო ტომრებით. მსურველთ უნდა შემოიტანონ საინტენდანტო ნაწილში განცხადება, სადაც დასახელებული უნდა იყვეს რაოდენობა და ფასი სურსათისა, აგრეთვე ადგილი, სადაც ჩააბარებენ სურსათს. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 51. 1208

ძმ. ვეფხვაძეების
კვასის და ლიმონადის ქარხანაში მზადდება, საუკეთესო გემოს და სუნის ხილეულობის და ხელოვნური მინერალური წყლები.
განახლდა კვასის მზადება
აქვე იყიდება ნამდვილი ღვინის ძმარი, თეთრი და წითელი
მისამართი, ქარხნის: კუთხე გოგოლის და ბატარეის ქუჩებ. მაღაზია: სადგურის პირდაპირ „ელაფნი დვორის" გვერდით. 642

ცენტრალური კომიტეტი ქართულ სამხედრო კავშირისა

აცხადებს ქართულ ჰიმნის

მუსიკის

კონკურს შემდეგის პირობებით:

I თავისუფალი ფორმა ორ ან სამ ნაწილისაგან.
ხალხური.
III მკაფიო და მოკლე.
IV ჰიმნი უნდა დაიწეროს მხოლოდ აკაპელლა (სასიმღერო).

საუკეთესო ნაწარმოებს მიეცემა პრემიად 1000 მან. და 75% კონცერტის წმინდა შემოსავლიდან ჰიმნებს შეასრულებს ქ. ს. კავშირის ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი კომპოზიტორებმა ორიგინალი უნდა წარმოადგინონ 1 ივლისამდის (ახალ სტილით).

მისამართი: ქ. ტფილისი, ქართული კლუბი ქ. სამხედრო კავშირი. მომღერალთა გუნდის გამგეს. 1184

ტფილისი. 27 ივნისი 1918 წ.

პროვოკაცია სოფლად

ჩვენს სოფლებში გამეფებულს ანარქიას ჩვეულებრივად ბოლშევიკურ მოძრაობად სახავენ. ჩვენ არ ვიცით, მუშაობს თუ არა ამ შემთხვევაში იდეიური ბოლშევიზმის ხელი. ვიცით, რომ ჩვენშიაც არიან იდეიური ბოლშევიკები, რომელნიც დღემდის დიდს იმედებს ამყარებდნენ რუსეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილ ბოლშევიკურ ბანდიტიზმზე (ეს იმედი გაუცრუვდათ). ადვილად შესაძლებელია ოფიციალურად ჩამოშორებულმა ბოლშევიკებმა სოფლად გადაიტანეს მოქმედება და ეხლა ანარქისტული გამოსვლების შემწეობით ჰფიქრობენ დასცენ არა მარტო ახლანდელი მთავრობა, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობაცა და დამოუკიდებლობაც.

თუ ამისთანა ბოლშევიკების მოღვაწეობას ადგილი აქვს სოფლად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გამოხატულებაა პოლიტიკური სიგიჟისა, რომელიც ჩვეულებრივად ფსიხიატრიული წამლობით დამთავრდება ხოლმე. არ შეიძლება ამისთანა ბოლშევიკებმა არ იცოდნენ, რომ გალაშქრება საქართველოს პარლამენტსა და მის მიერ დაყენებული მთავრობის წინააღმდეგ დღევანდელ პირობებში არის გალაშქრება ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების წინააღმდეგ, ვინც საქართველოს დამხობასა სცდილობს, ის ნიადაგს უმზადებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციასა და დამონებას უცხო ძალის მიერ. ჩვენ დიდი წარმოდგენისა არა ვართ ჩვენებურ ბოლშევიკებზე, ვიცით, რომ მთელი მათი პოლიტიკური სიბრძნე სარევოლუციო ფრაზეოლოგიაზე შორს ვერ მიდის; ვიცით, რომ ეს ისეთი ყმაწვილები არიან, რომელთა ტვინსაც ორი-სამიოდე ბროშურის მეტის მონელება ვერ შეუძლიან, ვიცით, რომ ეს ისეთი ყმაწვილები არიან, რომელნიც ჩვეულებრივად თავის ცხვირს იქით ვერაფერსა ჰხედავენ და მთელი მსოფლიოს საკაცობრიო პრობლემების გადაწყვეტას ეპოტინებიან მაშინ, როდესაც ღმერთს მათთვის იმდენი უნარი ვერ მიუცია, რომ დაანახონ, რანაირი კატასტროფიული სურათი იშლება მათი საკუთარი ბედნიერი ცხვირის წინ.

ვიცნობთ მათ, მაგრამ მაინც გვგონია, რომ დღეს ჩვენს სოფელში გამეფებული ანარქია იმდენად ამ იდეიური ბოლშევიკების საქმე არ არის, რამდენადაც პროვოკატორებისა, რომლებიც ბოლშევიზმის სახით ძირს უთხრიან საქართველოს დამოუკიდებლობას.

აღსანიშნავია, რომ ანარქია განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ყრუ და ბნელ კუთხეებში იჩენს ხოლმე თავსო. თუ ბოლშევიზმი „მოწინავე პროლეტარიატის მოძღვრებაა, მან ჩვენი სოფლის ისეთს კუთხეებში მაინც უნდა იჩინოს თავი, სადაც უფრო შეგნებული გლეხ-კაცობა მოსახლეობს. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არა ჰხდება. ანარქია საქართველოს უფრო ველურ კუთხეში იჩენს ხოლმე თავსა და ისიც ისეთს კუთხეში, სადაც ჭრელი მოსახლეობა არის.

დამახასიათებელია, მაგალითად, რომ ბოლშევიზმის სახით, ანარქიამ ცხინვალის რაიონში იფეთქა. ამბობდნენ და ეხლაც ამბობენ, რომ ცხინვალის ამბოხებაში იდეიური ბოლშევიკებსაც უდიდეთ წილიო. თუ ეს ასეა, მაშინ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ იდეიურ ბოლშევიკებსაც ისეთი საშუალებით დაუწყვიათ ბრძოლა, რომელშიაც ავისა და კარგის გარჩევა აღარ არის. ცხინვალის მოძრაობა აშკარად ანტი ქართული მოძრაობაა და მხოლოდ პროვოკატორებს შეეძლოთ ანტიქართული სულიერი განწყობილება თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ.

საინტერესოა აგრეთვე ერთი უცნაურობა. დუშეთის მაზრის გლეხებში ხშირად გაიგონებთ მსჯელობას იმის შესახებ, გერმანია სჯობია თუ ინგლისი. დუშეთის მაზრა ერთი ისეთი მაზრათაგანია, სადაც ათას კაცზე ერთი წერაკითხვის მცოდნე არ მოდის. თუ სადმე ცოტად თუ ბევრად მაინც მოინტელიგენტო ხალხი იყო, ტერორის შიშით მაზრიდან გამოიხიზნა. და აი, ასეთს პირობებში თქვენ დუშეთის მაზრის გლეხებისაგან ხშირად გაიგონებთ, რასაკვირველია, ძალიან დამახინჯებულად, ინგლისის სახელსაც. ცხადია, რომ ეს მსჯელობა შედეგია არა იმ პოლიტიკური შეხედულებისა, რომელიც ცენტრალურ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ჰხდება, არამედ ჩამახებულია გარედან ნამდვილი პროვოკატორული მიზნით. თუ ამნაირი პროვოკაციის ნაყოფს მომკა ბოლშევიკებსა ჰქვიათ, მაშინ ბოლშევიზმი პოლიტიკური მოძრაობა აღარა ყოფილა.

უფრო მეტსაც ვიტყვით. იმავ დუშეთის მაზრაში და მის ახლო მახლო ადგილებში შეხვდებით ისეთს სულიერ განწყობილებას, რომელიც აშკარად ატარებს პროვოკაციის შეხედს და ამასთანავე ერთად ისეთი პროვოკაციის, რომელსაც ოქროს სუნი უდის. გლეხები, მაგალითად, ამბოხებულნი არიან „იმერლების" წინააღმდეგ, იმერლები კონტრ-რევოლუციონერები არიანო. ამ ნიადაგზე რამდენიმე მკვლელობაც მოხდა. თუ ესეც ბოლშევიზმია, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიზმი ჟანდარმერიის საბრძოლველ საშუალებებით აღჭურვილა.

მაგრამ ჩვენ მაინც უკეთესი აზრისა ვართ იდეიურ ბოლშევიკებზე და გვგონია, რომ იდეიური ბოლშევიზმი აქ არაფერს შუაშია. ჩვენს სოფელში ანარქიას იწვევენ არა იდეიური ბოლშევიკები, არამედ საქართველოს მტრები, რომლებიც ყოველნაირ საშუალებასა ხმარობენ, რათა ძირს დასცენ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართველი ხალხის პოლიტიკური მომავალი.

სავსებით ანარქიის მოსასპობად ბრძოლაა საჭირო. მაგრამ უპირველესად ყოვლისა საჭიროა ჩვენი ქვეყნის ცენტრიდან აღიგავოს წყარო ამ გახრწნილებისა და პროვოკაციისა. ანარქიის სათავე ტფილისია. აქ იკვანძება ყველა ხლართი, აქ ილესება საქართველოს ყელის გამომჭრელი დანა, აქ ბუდობენ ისინი, ვინც დამღუპველ ქსელს აბამენ მთელ საქართველოში და არევ დარევის გამოწვევით ძირს უთხრიან მთავრობას.

უვიცი, ბნელი ხალხი, მხოლოდ მსხვერპლი ჰხდება პროვოკაციისა. ვისაც პროვოკაციის მოსპობა ჰსურს, მან სათავეშივე უნდა ჩაჰკლას პროვოკაციის ბუდე.

გ. პლეხანოვი

ფინლანდიაში გარდაიცვალა გ. პლეხანოვი. განსვენებულმა მთელი 40—45 წლისწადი რევოლუციონურ მუშაობას შესწირა. სოც.-რევ. დროშით დაიწყო პლეხანოვმა მუშაობა, ხოლო შემდეგ მარქსს მიემხრო და საძირკველი ჩაუყარა რუსეთის სოც.-დემ. პარტიას.

პოლიტიკური და სოციოლოგიურ-ფილოსოფიური განსხვავება „ნაროდნიკულ" მიმართულების და ს. დემოკრატ. მოძღვრების პლეხანოვმა გამოხატა ორი საგანგებო თხზულებაში „ნაში რაზნოგლასია" და, მონისტურ შეხედულების საკითხით" გარდა ამისა პლეხანოვმა მრავალი წიგნები, ბროშიურა და სტატია დაბეჭდა მარქსიზმის შესახებ.

რუსეთის მწერლობაში გ. პლეხანოვი მეტად თვალსაჩინო პიროვნებაა. დადგება დრო და პლეხანოვის ფიზიონომიას უფრო დაწვრილებით შეეხება ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი. დღეს შეუძლებელია ერთი საყურადღებო გარემოება არ აღინუსხოს, ის პიონერი იყო კოსმოპოლიტურ ინტერნაციონალიზმისა და ისეთ დროს მოესწრო, როცა თვითვე გახდა იძულებული კოსმოპოლიტიზმის შეუცნობისათვის ნიადაგი შეერყია. ომის ზეგავლენით გამოქვეყნებულ რამდენსამე წერილში და ბროშიურაში პლეხანოვი იცავდა რუსულ ეროვნულ მიმართულებას და სასტიკად გმობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. ამის გამო პლეხანოვის პრესტიჟი ძლიერ შეირყა რუსეთის მუშებში და ეს [illegible] სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორივე ფრთას მოსწყდა.

პლეხანოვის ეროვნულ ნიადაგზე გადასვლა არ ნიშნავდა მის სიკვდილს, როგორც ეს მიაჩნდა ბევრს მის თანამოკალმეს და თანამოაზრეს. ეს იყო ახალი ნაკადი მარქსისტულ პოლიტიკურ შეგნებაში და სამწუხაროდ მაშინ გარდაიცვალა რევოლუციის ვეტერანი, როცა სოციალ-დემოკრატია პლეხანოვის ახალ გზაზე იწყებდა სიარულს.

ეროვნულ ნიადაგზე დამდგარი სოციალ-დემოკრატია პლეხანოვში კვლავ დაინახავს თავის ბელადს და გზების

საზრდოს მიიღებს პლეხანოვის უკანასკნელ დროის ნაწერებიდან, რომელიც სამარადისოდ გადაეცა მოაზროვნე საზოგადოებას.

თ. დ.

მთავრობაში

საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში შეტანილ იქმნა კანონ-პროექტები; იუსტიციის მინისტრისაგან საოლქო სასამართლოების გაუქმებისა და მთელი საგამომძიებლო ნაწილის რეორგანიზაციის შესახებ.

—

სწავლა-განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა კანონ-პროექტი საქართველოში სწავლა-განათლების რეორგანიზაციის შესახებ. კანონ-პროექტის ძალით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სწავლა-განათლების სრული ნაციონალიზაცია. სამხედრო მინისტრს დაევალა მიიღოს ზომები ბორჩალოს მაზრის მოსავლის მოსაგვარებლად.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობებიდან გამოირკვა, რომ სტამბოლის კონფერენცია დაიწყება არა სამ კვირაზე ადრე.

მთავრობამ განიხილა ქიათურის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ მარგანეცს ფუთზე კაპეიკი დაედვას გადასახადი თვითმართველობის სასარგებლოდ და დაადგინა გადაეცეს ფინანსთა მინისტრს განსახილველად.

გერმანიის დელეგაცია.

ტფილისში ჩამოსულ ბულგარეთის გერმანიის და ავსტრიის ოფიცრებმა ივნისის 25-ს გენერალ ფონკრესის მეთაურობით ინახულეს მთავრობა და კარგა ხანს ქონდათ საუბარი მასთან გენ. ფონკრესი გერმანელ ჯარების საქართველოში ყოფნის საკითხს შეეხო და სთქვა: გადმომცეს ვითომც ქართველი ხალხი არამეგობრულად უყურებდეს გერმანიის ჯარების ჩამოსვლას და დაუმატა, რომ ეს ჯარები მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილის თანახმად ჩამოვიდნენ საქართველოს საზღვრების დასაცავად თუ ქართველ ერს არა სურს ჩვენს ჯარს შეუძლია უკან გაბრუნება. საქართველოს მართვა-გამგეობის საკითხს რომ შეეხო ფონ-კრესმა სთქვა გერმანიისათვის და მის მოკავშირე სახელმწიფოებისათვის სულ ერთია სოციალისტური იქნება საქართველოს მთავრობა თუ არა. მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ე. ჟორდანიამ უპასუხა ფონ კრესს, რომ ქართველი ხალხი გერმანიის ჯარს და მის მოკავშირეებს ისე უყურებს, როგორც თავის მეგობრებს და გერმანია მიაჩნია საქართველოს ინტერესების დამცველად.

სოხუმის ამბები

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო შტაბს დეპეშით სოხუმიდან ატყობინებენ: მტერი გუდაუთთან ორ ნაწილად გაიყო: მარცხენა ფრთა სოფ. ბაკლანოვკისაკენ მიდის, მარჯვენა კი —გუდაუთისკენ. ჩვენი მოწინავე ნაწილები არტილერიით პეტროპავლოვსკიდან გამოვიდა და გუდაუთისკენ გაემართა. დადევნებისას არავინ დაგვზიანებია. დღისით ბრძოლაში ძალიან დაშავდა შტაბს კაპიტანი მესამე პოლკისა ნოდია და თავში დაიჭრა წით. გვარდიის შტაბის უფროსი პორუჩიკი ნოვიკოვი. ჯარის კაცი მოკლულია ერთი, დაიჭრა 2, დაშავდა 8. ხელთ ვიგდეთ 7 ტყვიის მფრქვეველი, 1 სამთო ზარბაზანი, თოფები ჯერ არ დაგვითვლია. წინ წაწევას ჯერ-ჯერობით არა ვფიქრობ. კოდორის რაიონიდან დღეს 400 ცხენოსანი აფხაზი მოვიდა ჩემს განკარგულებაში.

გენერალი მაზნიაშვილი.

არეულობა დუშეთის მაზრაში

დუშეთიდან ჩამოსული ამხანაგი შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს:

დუშეთში არეულობის დროს მოჰკლეს ქალაქის კომისარი ლადო ფარესიშვილი, აზნაური იასონ ზანდუკელი, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე ბრიქაძე, აღმ. კომ. წევრი პეტრე ალიხაშვილი, მილიციონერი გორა ნაგლიაშვილი; მაზრის კომისარი და სხვა წევრები აღმ. კომიტეტის დაიმალნენ. აჯანყებულები იმათ ეძებენ. კომისარის მოვალეობას ასრულებს ერთი აჯანყებულთაგანი გაბო ხსიგური.

დუშეთიდან თიანეთში გაუგზავნიათ შეიარაღებული ხალხი თიანეთის მაზრის მცხოვრებთა ასაჯანყებლად.

ჩვენს წინააღმდეგ რომ იბრძვის ხალხი, იმათში ურევია ბევრი რუსის ოფიცერი.

ოსმალოები ადერბეიჯანში

ტფილისი. ივნისის 22. ტფილისში მოსულ ცნობებით განჯაში ოსმალოებმა მოწოდებით მამართეს მუსულმანებს იარაღი ჩაგვაბარეთ სამი დღის განმავლობაშიო. ჩხრეკა სწარმოებს და ისე ჰყრიან იარაღს.

აღკრძალულია განჯის გუბერნიიდან ფქვილის გატანა. ვაგონებს სჩხრეკენ, რომ ფქვილი არ გაიტანონ.

საგუბერნიო კომისარის ზიატხანოვის თავმჯდომარეობით თათბირი გაიმართა სასურსათო საკითხის გამო, რომელშიაც ოსმალო ინტენდანტმაც მიიღო მონაწილეობა. ოსმალო ჯარისათვის ჩამორთმეულ სურსათზე ნიხრი დააწესეს. ნიხრი ძალიან დაბალია. ქალაქის თავმა ალიევმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ფასების დაწესებაში არ იღებდნენ მონაწილეობას გლეხების წარმომადგენელნი. ამ ჟამად ახდენენ 200 ათასი ფუთი პურის რეკვიზიციას ოსმალეთის ჯარის საჭიროებისათვის.

—

ნური-ფაშას ბრძანებით ქალაქს „ელიზავეტპოლის“ ნაცვლად განჯა უწოდეს. სადგურებზე ძველი რუსული წარწერები ოსმალურით შესცვალეს.

—

ევლახში ოსმალოები თვალყურს ადევნებენ და სინჯავენ მგზავრებს, რომელნიც მტკვრის ხიდით ბაქოს ფრონტისაკენ მიდიან.

—

არეშის მაზრიდან იუწყებიან, რომ ხორბლის და ქერის ფასი დაეცა. ახალი მოსავლის გამო, ხორბალი 110 მანეთის ნაცვლად 38 მანეთად ფასობს, ხოლო ქერი, უწინ რომ 40 მ. ღირდა, ეხლა 4 მ. ფასობს.

—

ბაქოსაკენ გამგზავრებულ ოსმალოებს ნაზიმ-ფაშა მეთაურობს.

—

ივნისის 18-ს ღამით საგანგებო მატარებლით ფრონტზე გაემგზავრა ნური-ფაშა, მას თან ახლავს მუსულმანთა კორპუსის უფროსი გენ. შიხლინსკი, ოსმალოების ეშელონები გადმოვიდნენ და დაბინავდნენ ბორჩაშეთში, მიუსიუსლში და უჯარაში. ნაწილი რაზმებისა რკ. გზის ჩრდილოეთით წავიდა, ნაწილიც სამხრეთით. მიუსიუსლში დარჩენილი ჯარი შეებრძოლა ბაქოს ჯარს, რომელსაც ქიურდამირი აქვს აღებული.

განჯიდან ბაქოს ფრონტისაკენ 6000 ოსმალო გაემგზავრა.

ივნისის 18-ს სამგზავრო მატარებლით უჯარიდან განჯაში მოიყვანეს დაჭრილი ოსმალოები.

აღდაშის მუსულმანებმა საჩუქრები გაუგზავნეს ოსმალო ჯარისკაცებს, რომელნიც შემახის მიმართულებით ბაქოსკენ მიდიან ბრძოლით.

—

განჯაში გერმანელი ოფიცერი მოვიდა, რომელიც ტფილისში მყოფმა საელჩომ გამოგზავნა. მას დავალებული აქვს გამოიძიოს თუ რა პირობებში მოხდა ავსტრიელ ოფიცრის ბრინდერის დატუსაღება თათრების მიერ.

—

ივნისის 22-ს განჯაში მოსულ ცნობების მიხედვით, შემახის შარა გზით ბაქოსკენ მიმავალ ოსმალოს ჯარს ბრძოლა უხდება სომხის სოფლებთან, რომლებიც გეოქჩაის აღმოსავლეთით მდებარეობენ. სომხებმა ოსმალოებს იარაღის დაყრაზე უარი უთხრეს. ორი დღეა ბრძოლაა, სომხებს არტილერია ბაქოდან ჩაუტანიათ.

სამაჰმადიანო კორპუსთან პრაპორშიკების სკოლა გახსნეს მაჰმადიან ოფიცრების მოსამზადებლად, ინსტრუქტორებად ოსმალოები არიან. რუსი ოფიცერი ინსტრუქტორები დაითხოვეს.

განჯაში ჩამოვიდა ქიურდამირის ფრონტიდან მოხსნილი მაჰმადიანთა კორპუსი.

რუს ოფიცერთა ნაწილი მათთან სამსახურს თავს ანებებს.

აქსტაფიდან ჩამოსული ოსმალოთა ორი ეშელონი ევლახის ჩრდილოეთით გაიგზავნა, რათა იარაღი აყაროს სომხის დიდ სოფელს ქაიაბაშის,

ლტოლვილთა მდგომარეობა

(დეპეშა)

ლტოლვილებს ბაკურიანის იქით არ უშვებენ და არც უკან აბრუნებენ. სურსათი სრულებით არ არის, ყოველ დღე უამრავი ლტოლვილი კვდება სიმშილისაგან; ლტოლვილები კი უფრო მატულობენ ბაკურიანში, რაც ძალიან გასაკვირველია.

დღეს დავათვალიერე ლტოლვილთა რაიონი: ყოველ ნაბიჯზე ცოცხალმკვდარი ხალხი მრავლდება; ისინი მისუსტებული ხმით იმუდარებიან გადაგვარჩინეთ სიმშილს, სიკვდილსო. ვეკითხები საზოგადოებას განზრახ ჩაუგდეს სიკვდილს ხელში ეს ხალხი თუ გაუგებრობაა? ვინ აგებს პასუხს 10 000 უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლისათვის, გუშინ 1500 ლტოლვილი ჩამოვიდა. უდელტეხილიდან 500 კაცი კიდევ მოდის. ყველანი შიშველი და მშიერი არიან დაიხმარეთ.

მღვდელი არსენ ბირციანტი.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. ივნისის 25. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ცნობა.

კრონ პრინც რუპრეხტის ლაშქარი არტილერიის ცეცხლი ზომიერი იყო. საღამო ჟამს ის რამდენადმე გაძლიერდა. ზვერვა გაცხოველებულია. სკარპას სამხრეთი და ავრის დასავლეთ სანაპიროთი რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი ძლიერი მზადების შემდეგ მტერმა რამდენიმე როტით იერიში მიიტანა ენის ჩრდილოეთ სანაპიროთი, ეს იერიში მოვიგერიეთ.

ჰერცოგ ალბერტის ლაშქარი: ბრანდენბურგისა და ტიურინგენის ლანდვერმა ბადონვილლერის აღმოსავლეთით 60-მდე ფრანგი და აფრიკელი დაატყვევეს.

საჰაერო ბრძოლა. ლეიტენანტი ბილლიკმა მე-20-ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში.

იტალიის ფრონტი.

მთაგორიანი ფრონტი აზრაგოსა და პიავას შუა გუშინ კვლავ გახდა ბრძოლის ასპარეზად მტერი ცდილობდა დაებრუნებინა ივნისის 15-ს დაკარგული პოზიციები. მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა იყო მონტე-დი-ვალბელლასა, კოლ-დელ-ვოსსოსა, აკოლონოსა, სალაროსა და მონტე-პორტიკოსთან იტალიელები ყველგან გავრეკეთ. მოსული ცნობებით არტილერია და ქვეითა ჯარი ბრწყინვალედ მოქმედებს, განსაკუთრებით ქვეითა პოლკები: მე-9 ვალიცის, მე 53 კროატის, მე-114 ზემო და ქვედა-ავსტრიის, მე-120 სილეზიის და ბოსნია-ჰერცოგოვინას პოლკები.

მიანტელოს რაიონში და სამხრეთით მტერმა წინ წაიწია პიავასკენ თავისი პატრულები, სან-დონის რაიონში ჩვენმა დივიზიებმა მოიგერიეს მტრის ძლიერი იერიშები, რომელიც მან უკანასკნელ დღეებში მოიტანა. 15 ივნისის აქეთ იტალიელებმა დაჰკარგეს 50.000 ტყვე, ამათში 1100 აფიცერია. საერთოდ იტალიელებმა სულ ცოტა 150.000 კაცი დაჰკარგეს.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. ივნისის 25. უმნიშვნელო საარტილერიო ცეცხლია. იორდანეს აღმოსავლეთით ჩვენ იერიში მივიტანეთ მტრის მზვერავებზე. ჩვენმა ჯარმა გარეკა ჰეჯასის რკ. გზაზე აჯანყებულები მაან კალათ-ელ-გაზას სექტორში. სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

საინტენდანტო საწყობის დაწვა

ჩვენმა თანამშრომელმა ადგილობრივ დაათვალიერა ცეცხლისგან განადგურებული საინტენდანტოს საწყობები დიდუბეში და ზოგიერთ დამატებით ცნობებს გვაწვდის. ცეცხლს გაუნადგურებია სამი დიდი საწყობი შეკუმშული თივისა, თივის ორი დიდი პრესით, რამდენიმე ათასმანეთად ღირებული; დაიწვა ორი საწყობი შაქარი; აქედან გადაურჩენიათ მხოლოდ ასი ტომარა შაქარი; დაიწვა მთელი საწყობი ლობიოთი სავსე ტომარებისა 3000 ფუთამდე. ცეცხლი ისე ღრმად ჩამჯდარა ლობიოში, რომ გორად დამდგარს ეხლაც ცეცხლი უკიდია და იწვის, გადაურჩენიათ სულ მცირე ნაწილი. დაიწვა ერთი საწყობი ტომრებისა და ბრეზენტების. გადაურჩენიათ მხოლოდ ორი ათასი ტომარა. დაიწვა ჯარის სამგზავრო თითბრის სამოვრები რამდენიმე ათასად ღირებული, უამრავი რკინეულობა, მავთულები, ერთი საწყობი მახორკა, ერთი ვაგონი ერბო და სხვ. საშინელს სურათს წარმოადგენს ცეცხლისაგან განადგურებული მოედანი. კარგა მოზრდილ ადგილზე ეხლაც გაფანტულია დიდი მასალა, თუმცა ცეცხლისაგან გაფუჭებული, მაგრამ გამოსადეგი და კიდევ რამდენიმე ათასად ღირებული ქონება. აუცილებლად საჭიროა ამ ქონების თავის მოყრა და ჯეროვანი პატრონობა, რადგანაც მრავალი ხალხი ეტანება ვითომც სანახავად, მაგრამ თუ რამეს მოახელეს არ დაზოგვენ და ხელს გაატანებენ. ამ ჟამად ცეცხლის ადგილის და ახლო მახლო საწყობების პატრონობა და დარაჯობა ჩაბარებული აქვთ სახალხო გვარდიის რაზმს. უკვე გვქონდა აღნიშნული ბოროტმა ხალხმა თუ როგორის უტიფრობით ცეცხლი მოუკიდა და გადაბუგა საინტენდანტო საწყობები საჭირითო მოედნის ახლო დიდუბეში. გამოძიებით ირკვევა რომ საწყობიდან წინ და წინ დიდძალი საქონელი უნდა იყოს გატანილი. ქალაქიდან ასე 6 ვერსის მანძილზე ღრმა ღელეში ბევრი საქონელი აღმოაჩინეს ამ საწყობებიდან გატანილი და იქ გადამალული. ნამდვილის წყაროებიდან გადმოგვცეს, რომ ღრმა ღელეში მიუგნიათ ერთის სახლისათვის რომელსაც იატაკი ჰქონია მოხერხებულად ამოჭრილ—გაკეთებული და ქვეშ სარდაფში კიბით შეერთებული. ქურდებსა და ავაზაკებს აქ ბევრი ქონება გადაუმალავთ. ღრმა ღელედან გადმოიტანეს ოთხი დიდი ფურგუნი სავსე შაქრით; უნახავთ აგრეთვე ფქვილი, ზეთით სავსე „ბოჩკები“, ორი დიდი „ბოჩკა“ ღვინიანი, ერბო და სხვ. სანოვაგე. აქვე უნახავთ გადამალული ძროხები, ცხენები და სხვ. ბოროტებაში ყველა მონაწილეთა აღმოსაჩენად და მთელი საქმის გამოსარკვევად გამოძიება სწარმოებს.

ახალი ამბავი

◆ **გუმბრიდან** ბეჭვდითი სიტყვის ბიუროს იქაურ ქალაქის თვითმართველობის თავმჯდომარე ა. მერკუროვი ატყობინებს ქალაქის და მცხოვრებლების მდგომარეობის შესახებ ოსმალოების შემოსვლის შემდეგ: ოსმალოები ქალაქში მშვიდობიანად არიან. არავითარი ცუდი შემთხვევა არ ყოფილა. ქალაქის აღების მეორე დღეს ქალაქის თვითმართველობაში 29 წარმომადგენელი შევიდა ყველა ერისაგან. კარაკლისში ბრუნდებიან გარდახვეწილნი. ამათთვის საჭმელი თითქმის არ არის- ფოსტას და სხვა დაწესებულებას წინადადება მისცეს ქალაქიდან გავიდნენ. ხმები კარაკლისის მცხოვრებლები სულ მოჰკლესო, ტყუილია.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ გაუქმებულ იქმნას კანონი, რომლის ძალით ექიმებს ჯამაგირი ქალაქის თვითმართველობისაგან ეძლევათ.

◆ **მილიციის უფროსმა** გამოაცხადა იმის შესახებ, რომ მილიციელებს ნებართვა ექნებათ იარაღის ტარებისათვის. იმავე ბრძანებით მილიციელებს აფრთხილებენ მთავრობის წევრების ავტომობილების რეკვიზიცია არ მოახდინონ: იყო შემთხვევა, რომ მილიციელებმა გზათა სამინისტროს ავტომობილის რეკვიზიცია მოახდინეს.

◆ **შავი ქვის მრეწველობა ფოთში.** შრომის სამინისტროსაგან ფოთში იქაურ მუშების შრომის ნაყოფიერების გამოსარკვევად გაგზავნილები იტყობინებიან, რომ მუშები და მათი წარმომადგენლები მეტად ფხიზლად ეკიდებიან საქმეს. ხელშეკრულების საქმე მალე დაბოლოვდებოდა, მაგრამ იგვიანებენ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენლები. შრომის სამინისტრომ შავი ქვის საბჭოს თხოვნით მიმართა, რათა საჩქაროდ გაგზავნონ ფოთში თავისი წარმომადგენლები.

◆ **სოხუმიდან შრომის სამინისტროს** შავი ზღვის რკინის გზის კომისიის თავმჯდომარე დეპეშით ატყობინებს: „შუამდგომლობა სოხუმში 50 ათასი მან. გაგზავნის შესახებ უარყვეს. მოსამსახურეების და მუშების დაკმაყოფილებაა საჭირო: ყველას დროზე უნდა გაუსწორდეთ და ამისათვის ფული არ არის, გამოილია. გთხოვთ დაგვეხმაროთ და რამდენადაც შესაძლებელი იქნება საჩქაროდ გამოგვიგზავნოთ აღნიშნული ფული სოხუმში.

◆ **ტყიბულის მაღაროები.** მეტად კრიტიკულ მდგომარეობის გამო, რომელშიაც საქართველოს რესპუბლიკა იმყოფება რადგანაც ბაქოდან ნავთს სრულებითაც არ გზავნიან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებს. ადმინისტრაცია შეცვლილია. საქმის გასაუმჯობესებლად მთავრობამ ტყიბულში კომისია გაგზავნა, რომელშიაც შევიდნენ: ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი გ. ნ. ნიკოლაძე, ფირალოვი, ყიფშიძე, ექსპერტებად ოკუნევი კოპუშევსკი, ყიფიანი. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წინად საქმე მეტად ცუდად ყოფილა დაყენებული. დადგენილია ახალ საფუძველზე დააყენონ საქმე. მუშების მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია.

◆ **კიტა აბაშიძის გარდაცვალების** ნახევარ წლის თავზე, კვირას, 30 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება 12 ნახევარ საათზე.

◆ **პური.** სურსათის სამინისტრომ ზომები მიიღო პურის საყიდლად და მის ჩამოსატანად შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროებიდან. ჯერ კანონით სამინისტრომ ხელშეკრულება დადვა ერთ კერძო კონტრ აგენტთან, რომელიც ვალდებულია ყოველთვიურად მოიტანოს ხორბალი თავრიდის გუბერნიიდან ფოთში საქართველოს რესპუბლიკისათვის არა ნაკლებ 25000 ფუთისა. ხორბლის მოტანას დაიწყებს პირველ ივლისიდან.

◆ **მოსავალს კარგი პირი უჩანს.** ტფილისის სასურსათო კომიტეტის ცნობით ახალი პურის მოსავალი კარგია და საკმარისადაა. ყანები იმკება. ქართლში მოსავალი საშუალოზე ნაკლები არაა; კახეთში, ბორჩალოს მაზრაში და ქუთაისის გუბერნიაში საშუალოზე მეტი მოვიდა. ზოგან კი მეტად კარგიცაა. ნათესი წრეულს შარშანდელთან შედარებით სამჯერ მეტია. ჩვენ პური ერთ წელზე მეტს გვეყოფა. ბალახი გაითიბა. მოსავალი [illegible]. ამინდების ხელის შეწყობით თივა საუკეთესო ღირსებისაა. ბოსტნეულობასა და სიმინდსაც არა უჭირს რა.

◆ **ქაღალდი იყიდება.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იყიდება ქაღალდი რძისფერი, მოსქო, „ვერჟე“ ფირმისა, ათი ოხმა. მისამართი სტამბა „სახალხო საქმე“ დ. მგალობლიშვილს.

◆ **ხოლერა ქალაქში.** ექიმმა მუხარინსკიმ ქალაქის გამგეობას შეატყობინა, რომ დესიმონოვის ქუჩიდან მოიყვანეს საავადმყოფოში ივნისის 25 ს ავად გამხდარი პრასკოვია ეფიმოვისა, რომელსაც ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევით აღმოაჩნდა ხოლერა. ეფიმოვისა სცხოვრობდა დესიმონოვის ქუჩაზე, № 3 სახლში.

— იმავე საავადმყოფოში მიუყვანიათ ივნისის 26-ს ვორონცოვის ქუჩის შესახვევში, სახ. № 8 მცხოვრები სტუდენტი ჰამიდ ტაგიევი, რომელსაც ხოლერა აღმოაჩნდა.

— რადგან ქალაქში ხოლერამ იჩინა თავი, ქალაქის გამგეობა საბჭოს დღევანდელს სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავს ხოლერის საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაციულად მოწყობის შესახებ.

— ქალაქის მე 8, მე 5 და მე 6 სამილიციო ნაწილში ხოლერა გაჩნდა. ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი გ. იგიტიანცი ამ ამბავს ქალაქის თავს ატყობინებს და მოახსენებს, რომ აღნიშნულ ნაწილების სასანიტარო საექიმო ნაწილებს დაევალა მიიღონ მილიციის დახმარებით ყოველივე ღონისძიებანი ქალაქის ამ ნაწილის დასასუფთავებლად და დასაწმენდად.

— მთელი ქალაქი, განსაკუთრებით განაპირა ადგილები უსუფთაობისა და სიბინძურის მორევს მოგვაგონებს. მთელი კვირების განმავლობაში ეზოები არ იგვება, ნაგავი დროზე არ გააქვთ ქალაქიდან, ქუჩები უსუფთაოა და სხ. განსაკუთრებით საშინელს სურათს სიბინძურისას წარმოადგენენ ყაზარმები და ის სახლები, სადაც ჯარის ნაწილები სცხოვრობდნენ. ჯარისაგან დატოვებულ უსუფთაობას ზედ ერთვის დღევანდელი სიბინძურე.

◆ **ხევსურთა დელეგაცია.** ტფილისში ჩამოვიდა და მთავრობას უნდა წარუდგეს ხევსურთა დელეგაცია— 6 კაცი. მათი ჩამოსვლის მიზანია მთავრობას სთხოვოს იარაღი, რათა თავი დაიცვან ბოლშევიკებისა, ქისტებისა და ლეკებისაგან, რომლებიც მათ თავს ესხმიან და აწუხებენ.

◆ **პეტროგრადის ამბები.** სტავროპოლში მოსულ ცნობებიდან გამოირკვა, რომ პეტროგრადში დააპატიმრეს კადეტთა პარტიის ლიდერები პროფესორები მანუილოვი, კიზევეტერი და სხვები.

◆ **აბრეშუმი.** მთავრობამ ტფილისში გამოიწვია ქუთაისის საბრეშუმო სადგურის გამგე იოს. ქუთათელაძე აბრეშუმის თესლის მოსავლის რეალიზაციის საქმეებზე სათათბიროდ.

◆ **პლეხანოვის ხსოვნას.** კვირას, ივნისის 30 ს დილის 12 საათზე სახელმწიფო თეატრში გ. პლეხანოვის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართება დიდი მიტინგი შესვლა შეიძლება პარტიულ ბილეთებით.

◆ **სტავროპოლიდან** ჩამოსულის [illegible] მშვიდობიანობაა. ბოლშევიკებმა კადეტებს 5 მილიონი მან. კონტრიბუცია დაადეს. ამიერკავკასიიდან არავითარი ცნობები და გაზეთები არ მიდის.

◆ **ქალაქის საბჭოს სხდომა.** დღეს ივნისის 27 ს საღამოთი დანიშნულია ტფილისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

◆ **დღეს** ფრეილინის ქუჩაზე 11, 7 საათზე მოხდება კრება ჰიდროტეხნიკური სექციის ქართული ტეხნიკური საზოგადოებისა განსახილველად ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები მელიორაციის და თეთრი ნახშირის შესახებ.

◆ **დავკარგე** ნებართვა გიორგის მესამე ხარისხის ჯვარის ტარებისა, მოცემული შავი ზღვის მთავარ შტაბისა № 0789. 24—6. ვთხოვ მნახველს შემოიტანოს პირველ გიმნაზიაში, ბათომის პარტიზანულ პოლკის შტაბში. პოვნელი დასაჩუქრდება 25 მანეთით.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ნაძალადევში. პარასკევს, 28 ივნისს, საღამოს სწორედ 6 ნახევარ საათზე, ნაძალადევის ეკლ. სამრ. სკოლის შენობაში მოხდება არაჩვეულებრივი კრება ამ რაიონის სოც.-ფედერალისტებისა. მომხსენებელი იქნება მიხ. საყვარელიძე.

—

კუკიის უბანში დანიშნულია წევრთა კრება ხუთშაბათს, ივნისს 27-ს საღამოს სრულ 6 საათზე; ყოველი ამ უბანში მცხოვრები პარტიული ამხანაგი ვალდებულია დაესწროს კრებას.

· კრება შესდგება სასულიერო სასწავლებლის შენობაში ჩერქეზიშვილის ქუჩა № 22.

—

პარასკევს, ივნისს 28, პარტიულ კლუბში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის კრება, ფრიად საჭირო საკითხთა გასარჩევად. დასაწყისი საღ- 7 საათზე

მოწოდება

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტის, ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეებისადმი.

ამხანაგებო! თქვენ კარგად იცით, რა ცუდ მდგომარეობაშია ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა. შინაური და გარეშე მტრები ძირს უთხრიან მის სიმტკიცეს და თუ სამშობლოს ერთგული შვილნი არ დაეხმარებიან მას, უნდა ვიფიქროთ რომ ვერაგი მტრები გაანადგურებენ ამ რესპუბლიკას, რაც ჩვენ საკუთარი და ჩვენი თავისუფლების განადგურებაც იქნება. როგორც ყოველი ნორჩი არსი, საქართველოც საჭიროებს ნაზ და ფაქიზ მოპყრობას, რომ ის განმტკიცდეს და გაძლიერდეს. რომ საქართველო, ძველი, საზიზღარი წყობილების ნანგრევებზე განახლებული, ძლიერი და მტკიცე იყოს, ამისათვის მას სახელმწიფო ხაზინა ესაჭიროება. რადგანაც სახელმწიფო ხაზინაში ოქროსა და ვერცხლის ნაკლებობაა, სახელმწიფოც სუსტია და საკმარისია სუსტი ქარიც ამოვარდეს, რომ ის დაინგრეს. ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას სრულებით არა აქვს ჯერ ხაზინა და ყოველი შეგნებული და ჭეშმარიტი მოქალაქის მოვალეობაა მთელი თავისი ქონებით დაეხმაროს რესპუბლიკას ძლიერი ხაზინის შექმნაში.

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-მოსამსახურეთა პირველმა ყრილობამ 21 ივნისის სხდომაზე დაადგინა მოუწოდოს ყველა ამხანაგს—თანამოსამსახურეს შესწირონ სახელმწიფო ხაზინის ფონდისათვის ორდენები და აგრეთვე ოქრო, ვერცხლი და სხვა ყოველგვარი ლითონი, რომელსაც რაიმე ღირებულება აქვს სახელმწიფოსათვის, ყრილობის დელეგატებმა უკვე დაიწყეს შემოწირულებათა მიღება. რაც ჯერ ჯერობით ბრწყინვალედ სწარმოებს.

მოქალაქენო! რესპუბლიკის ხსნა თქვენს ხელშია და თქვენ არ შეგიძლიათ არ შეიტანოთ თქვენი წვლილი მის გადასარჩენად. მომავალი თაობა მადლობის გრძნობით მოგიგონებთ თქვენ, როგორც რესპუბლიკის ჭეშმარიტ მოქალაქეებს.

შემოწირულებებს მიიღებს დროებით ტფილისში პირველი ყრილობის პრეზიდიუმი, ხოლო შემდეგ ცენტრალური გამგეობა. შემომწირველთა სია გაზეთებში გამოქვეყნდება.

ყრილობის თავმჯდომარე: შალიკიანი.
მდივანი: კაშია.

ზოგი-რამ

როდესაც, ძველი რეჟიმის დროს, პეტერბურგელი ცენტრალისტ-იმპერიალისტები საახალშენო პუნქტებს აარსებდნენ ჩვენს ქვეყანაში რუსის კოლონისტთა გადმოსასახლებლად, ამ ღონის ძიებით აწარმოებდნენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომ ჩვენი ხალხის გადაგვარება, ანუ გარუსება დაეჩქარებინათ მისი ხელოვნურად აჭრელებითა, მაგრამ ასეთ პოლიტიკას გაუცვდა ლილახანა და დღეს ჩვენი ქვეყნის ბედი ჩვენ ხელთვე გვიპყრია.

ჩვენს რესპუბლიკას დაპყრობილი ქვეყნები არ აქვს, არც ისწრაფის საქართველო უცხო ქვეყნების დაპყრობისას, მაშასადამე, არც იმპერიალისტურ პოლიტიკას ექმნება ადგილი მის ცხოვრებაში. მაგრამ ეს გარემოება იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო საახალშენო პოლიტიკას არ უნდა აწარმოებდეს, არა! საახალშენო პოლიტიკა ექმნება, მაგრამ საშინაო, სახელმწიფო მოვალეა, თავისი საზღვრები გაამაგროს, გაპარტახებულ გაუშენებელი ადგილები გამოიყენოს. ამისთვის კი საჭიროა სანაპიროზე ჯარის ყოლასთანვე ერთად მჭიდრო მოსახლეობა ადგილობრივ, ცხოველი ზღუდე, რომელიც ერთგვარი საფრთხე (პომეხა) იქნება, რომ უცხო ხალხის დენა ჩვენი ქვეყნისკენ, ან მისი გადმოსვლა შეაყენოს. სანაპიროთა გამაგრება ციხე-ქალაქების გაშენებით ჩვენმა წინაპრებმაც იცოდნენ და სხვათა შორის ამ გარემოებითაც აიხსნება, რომ პოლიტიკური თავისუფლება მეცხრამეტე საუკუნემდე მოიტანეს მაშინ, როცა სომხეთმა მეთერთმეტე საუკუნეში დაჰკარგა. სანაპიროები, რომელიც ამ თავითვე უნდა გამაგრდეს ციხე ქალაქების გაშენებით, არის ზღვის პირი თითქმის ასოცი ვერსის მანძილზე, ყარაიაზის რაიონი, ზაქათალა, ბორჩალო და სხვა. რაც შეეხება საქართველოს შუაგულ ადგილებს, სადაც მოსახლეობა ჩხერია, ან სულ არ არის, იქაც ხალხის დასახლება მეტად საჭიროა. ძველი რეჟიმი თუმც ავიწროებდა ქართველთ ახალშენობას, მაგრამ საქართველოშივე ახალშენების გამართვის ნებას რომ ვერ ჰღებულობდნენ, ჩვენი მოძმენი მის გარეთ გაიხიზნებოდნენ ხოლმე, ამნაირად გაჩნდა ჩრდილო კავკასიის ქართველთ ახალშენები.

დღეს დასავლეთ საქართველოში აშკარაა სივიწროვე, ნაკლებობა ადგილ მამულისა და სიმრავლე ხალხისა. ასი ათასი ახალმოშენე ქართველი თამამად შეიძლება გადმოასახლოს მთავრობამ სანაპიროზე ისე, რომ მკვიდრთა მოსახლეობას არაფერი დაეტყოს, არ შეეხებოდეს, მაგრამ ახალმოშენეთა აღორძინებისთვის საჭიროა რამდენიმე ხნით გადასახადის პატიება. ასეთი შეღავათი ახალმოშენეს ღონისძიებას მისცემს, რომ ოჯახობრივ კარგად მოეწყოს.

*

ჩვენმა სახელმწიფომ განიზრახა ფულის ფონდის გაჩენა ოქრო-ვერცხლის და სპილენძის მოგროვებით, შემოწირულებამ დენა იწყო და უნდა ვიფიქროთ, საქმე წინ წავა. მაგრამ მთავრობა მოვალეა, შემომწირველთა ნება-ყოფლობას არ დასჯერდეს და რეკვიზიცია უყოს ფულის მოსაჭრელ მასალას, ასეთი მასალა ბლომად მოიპოვება ეკლესია-მონასტრებში, მაგალითად რუსეთში მოჭედილი ხატები და ჯვრები, აგრეთვე ჩამოსხმული ბოძი ხშირი ზარები. ხსენებულ საეკლესიო ავეჯებს არავითარი არხეოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს, სამსახურს კი კარგს გაუწევს სახელმწიფოსა. რეკვიზიცია უნდა მოხდეს აგრეთვე იმ ორდენებისა და ჯვრების, რომელიც ჩვენს მამებს გულზე ჩამოუკიდებიათ, ვინ იცის, რამდენი მათგანი რუსეთის სახლისადმი მეტისმეტის ერთგულების, ხოლო სამშობლოსადმი ღალატისთვის, დასასრულ უნდა გამოიყენოს მთავრობამ ფულის მოსაჭრელად ის ნათუქალი ზარბაზნები, რომელიც ტფილისში მრავლად არის და შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიაც მოიპოვებოდეს.

მაგრამ მოჭრილი ფული უზრუნველმყოფელ უნდა იქმნეს საკრედიტო ბილეთებისა. აქედან იბადება საჭიროება მისი მოვლა შენახვისა, რომ თვალსა და ხელშუა არ გაჰქრეს.

*

საკვირველია, როგორ განვითარდა ქართული ხელოვნება მეცხრამეტე საუკუნეში, როცა არავითარი მფარველი მეცენატი არ ჰყოლია, თუ არ მოვიგონებთ მეფის ნაცვალს მიხაილ ვორონცოვს, რომელიც გიორგი ერისთავს ცოტაოდენ დახმარებას აძლევდა ქართული სცენის საჭიროების გასაძლიერებლად როგორც ვიცით დახმარება მალე მოისპო ქართულ თეატრს, რომელიც თითქმის სამოცდაათიან წლებამდე სულს ჰლაფავდა, იმავ დროს კი მთავრობა არაფერს ჰზოგავდა რუსული ოპერა-სპეკტაკლების გასამართავად, რომ ქართველობაში რუსული ენა, ზნე-ჩვეულება და ხელოვნება გავრცელებინა, მოკლედ რომ ვსთქვათ, გაერუსებინა.

რაც არის დღეს ქართული ოპერა, თუ დრამა, სულ თავისით აღორძინებულა და მის მუშაკს ნარ-ეკალი უკაფნია, რომ საქმე წარმატებით დაეგვირგვინებინა, მაგრამ დღეს, როცა საქართველოს სახელმწიფოა ქართველობის პატრონ-მფარველად, არც ქართული ხელოვნება უნდა დაჰრჩეს უპატრონოდ. სახელმწიფო ვალდებულია, სუბსიდია გაიღოს ქართული ხელოვნების განსავითარებლად. ვერც ერთი ფაქტორი ცხოვრებისა ისე საგრძნობლად ვერ განავითარებს საზოგადოებას, როგორც მუსიკა და დრამა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შინაარსად მშობელი ხალხის სულის კვეთება აქვს, როცა ერთიც და მეორეც ეროვნულია, მაგრამ ულონოა, თუ მფარველობა ვისგანმე მოჰპოვებია. ისე დაბეჩავებული იყო მოზრდილი ნაწილი ქართველთა საზოგადოებისა რუსული ოპერის გავლენით, რომ ვერ წარმოედგინა, თუ ოპერის მღერა შესაძლებელი იქმნებოდა ქართულადაც. მახსოვს, როცა ფაუსტი პირველად დაიდგა ქართულად, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც გადაგვარების გზაზე დამდგარიყო, აზრი გამოაცვლევინა და დავიწყებულ სამშობლოსაკენ მოხედა.

მშობლიური მუსიკა ხომ ნამდვილი ჯადოა, ხალხის ერთობის, სიმტკიცის და გრძნობის წვრთნისთვის. ორიგინალი და ნათარგმნი ოპერა ოპერეტი იმდენია, რომ კარგი ანტრეპრიზის ხელში სწორედაც კარგად გასწორდებოდეს, ხოლო ანტრეპრიზას, რომელსაც მთავრობა ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენდა, აღარ გაუძნელდებოდა თავი მოეყარა ქართველ მომღერალ ძალთათვის, რომელიც დღეს გაფანტულია, და ქართულ ენის მცოდნე უცხო ტომელი მომღერალნიც მოეწვია. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ამ საქმის თაოსნობას აპირებენ სამუსიკო მოღვაწეობასთან ახლო მდგომნი პირნი და მთავრობამ ხელი უნდა გაუმართოს მათ. საქმე დიდი გაკეთდება ასე, რომ მისი სარგებლობა დიდი იქმნება, ხარჯი კი შედარებით სულ უმნიშვნელო. სახელმწიფოს ბიუჯეტისთვის. ხელოვნება ხალხის სულს და გულს ასაზრდოებს და როგორ შეიძლება სახელმწიფომ ასეთ დიდ საქმეს ყური არ ათხოვოს.

პეტრე მირიანიშვილი.

ხმა ბათომიდან

1.

აჭარა და დამოუკიდებელი საქართველო.

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ნ. ბარათაშვილი.

ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს საერთო კალთას მოსწყდა მისი საუკეთესო კუთხეთაგანი აჭარა-ქობულეთი და მაჰმადიანი ქართველობა გამოეყო ქრისტიან ქართველობას. ჩვენს მთლიან პოლიტიკურ შენობას ერთი ბურჯი გამოაცალეს, შუაზედ გადასჭრეს ეროვნული ორგანიზმი ჩვენი; ეს არ იკმარეს, და საქართველოს შუაგულისაკენაც იშვერდნენ თავის ურცხვ თათებს, რომ მაჯისცემა ჩვენი ხალხისა სამუდამოდ შეეჩერებინათ და მონური სული გაეშეფებინათ თავისუფლების მოყვარულ ერში. დაადგა რა თავის მძიმე უღელი ოსმალეთმა საცოდავ ჩვენს მოძმეებს, იგი საქართველოსაკენაც ხარბად იცქირებოდა, ლამობდა მის ხელში ჩაგდებას, გათელვას, გათახსირებას, ლამობდა, რომ კულტურულად ოსმალეთზე მაღლა მდგარი საქართველო ოტომანის ყრუ პროვინციად გადაექცია. მაგრამ არ დასცალდათ დაუპატიჟებელ სტუმართ ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო გასეირნების მოწყობა და დღეს-დღეობით მათ პოლიტიკის სუსტი ზვირთებიც ვერ გადმოულახავთ და მძაფრი მათრახი მათი ჯერ აჭარის მიდამოებს არ გასცილებია. აჭარა კი გმინავს მათი მათრახ ქვეშ, აჭარა კი სავსებით განიცდის კრიზის მოვლენილს განუკურნელ სნეულებას—ოსმალეთის რეჟიმის სისასტიკეს.

ვინც ამ ორი თვის განმავლობაში ბათომში იყო და ჩაუკვირდა ჩვენს მოძმეთა სულისკვეთებას, შეამჩნევდა, რომ აჭარელთა არსებაში ღრმა სევდა და გამოურკვეველ მომავლისადმი დაბადებულა და მათი მსოფლმხედველობა აშკარად შეცვლილა. და თუ გუშინ აჭარელნი თვით ეპატიჟებოდნენ ოსმალთ გვიხსენით ქართველთაგან და გვეპატრონეთო, დღეს სიმღერა მათი სევდიანი ჰანგებით არის შეზავებული და სწრაფვანი მათნი გამოიცვალენ სრულიად... რა მოუტანა მათ ოსმალეთის გამეფებამ? ეს კითხვა ძალაუნებურად დაებადა ყოველ შეგნებულ აჭარელს. ვინ ვიყავით ჩვენ ქართველთა აქ ყოფნის დროს და ვინა ვართ ეხლა? ხშირად გაიგონებთ გულის სიღრმიდან ამონახეთქს სიტყვებს და სახეზე შეატყობთ, თუ რას განიცდის გულში შემცდარი მოძმე ჩვენი... აჭარელმა ასწონ-დასწონა, შეადარა ძველი და ეხლანდელი მდგომარეობა და რა დაინახა? დაინახა ის, რომ ძლიერ მოსტყუვდნენ ანგარიშში, დაინახა ის, რომ ოსმალთა მთავრობა, რასაც დაჰპირდა, ისიც არ მისცა და რაცა ჰქონდა ისიც წაართვა. ქრისტიანი ქართველები არაფერს არ ზოგავდნენ, რომ თვის მოძმეთათვის შესაძლებელი დახმარება გაეწიათ, როგორც ნივთიერი, აგრეთვე მორალური და კულტურული. ყველას ეხსომება ის დიადი საქმე, რომელსაც ქართველობა აწარმოებდა აჭარაში.. აქამდის მიძინებულ მხარეში განათლების სხივი შეიჭრა მოძმენი ჩვენი, გამოაფხიზლა სალათას ძილისგან და სულ სხვა გზა აჩვენა, გზა, რომელიც აღორძინებების ქვეყნისაკენ მიისწრაფვის, გზა, რომელზედაც სდგა თვით ქართველი ერი... და სულ ახლო იყო ის დრო, როდეს განათლებული აჭარა, აღორძინებული და გათვითცნობიერებული კუთხე საქართველოსი, სამშობლოს სხვა მხარეებს მოეწონოდა და ცხოვრების ჭაპანსაც მათთან ერთად გასწევდა. ყველას ახსოვს, თუ რაგვარის თავდადებით ემსახურებოდა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება გამაჰმადიანებულ მოძმეებს, როგორის თავგამოდებით იცავდნენ ქართველი ინტელიგენტები უდანაშაულო აჭარელთა ინტერესებს. ვინ არ უწყის ისიც, რომ ქრისტიანი ქართველი უღრმესი პატივისცემით ეპყრობოდა მოძმეთა რჯულს და სიტყვით, არც საქმით არ შეეხებია მათს წმიდათაწმიდას. მერე რა არის, რომ ჩვენ აღმოსავლეთისაკენ ვლოცულობთ და თქვენ დასავლეთისაკენ. ეს ხომ იმას არ დაგვიშლის, რომ ჭირში და ლხინში ერთად ვიყოთ, ეს ხომ არ გვიშლის იმას, რომ ხელი ხელს მივსცეთ ძმები გავხდეთ, შვილნი ერთი დედის ძუძუსი“.

ყოველივე ზევით ნათქვამს ზედ დაურთეთ ისიც, რომ შვილნი კიდევაც აჭარისა სამხედრო ბეგარიდან სრულიად თავისუფალნი იყვნენ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბედი მათი ამ ახლო მომავალში საუკეთესოდ გადასწყდებოდა, მაგრამ არ დასცალდა ხალხს უკეთესი მერმისის ხილვა და ურწმუნო ბეგებისგან გაბრიყვებულმა ოსმალთ ჩააბარა თავისი თავი. ოსმალეთის შემოსვლით აჭარის ბედი სულ სხვანაირად დატრიალდა. ოსმალეთის დესპოტიურმა მთავრობამ, იმპერიალისტური სულისკვეთებით გამსჭვალულმა ჩვენს მოძმეთა სამშობლოში თავისი ხიშტ-მათრახი გაამეფა და თავისუფლების მოყვარულ ხალხს დესპოტიზმის მძიმე უღელი დაადგა კისერზე. ოსმალებმა, იმის მაგივრად რომ ერთმორწმუნეთათვის ან სულიერი ან ნივთიერი საზრდო მიეწოდებინათ, წაართვეს აჭარლებს ის, რაც მათ ებადათ და მშიერი ჯარი თვისი აჭარის სიმინდით და სხვა სანოვაგით გამოჰკვებეს. სარჩო-საბადებლის წართმევა არ იკმარეს და მობილიზაციის წყალობით ართმევდნენ საუკეთესო შვილებს ბრძოლის ველზე გასაგზავნად. ეს მობილიზაცია აჭარას ართმევდა რამდენიმე ათას ახალგაზრდა ვაჟკაცს და თუ არ ის პროტესტის ხმა, რომელიც მობილიზაციის საწინააღმდეგოდ მძლავრად გაისმა აჭარაში, დღეს მისი შვილები ან მესოპოტამიის მწველ მიდამოებში ამოჟლეტილიყვნენ, ან არაბეთის უდაბნოებში ჰპოვებდნენ ისინი თავის საფლავს... ოსმალეთიდან ჩამოსული ეგრედწოდებული მუჯახირები გულისწყრომით შეხვდნენ აჭარელთა სამქციელს და ეხლაც დამოუკიდებელ საქართველოსთან შეერთებისაკენ მოუწოდებენ შემცდარ მოძმეთ. მუჯახირებმა დაუხატეს აჭარლებს მძიმე სურათი ოსმალეთში ცხოვრებისა, შეაგნებინეს თუ რას ნიშნავს ოსმალეთის რეჟიმი, მაგრამ რაღა საჭირო იყო მათი თქმა, როდეს აჭარლებმა თვით იგრძნეს ოსმალეთის მართვა-გამგეობის სისასტიკე. გაუქმებულ იქმნა ყველაფერი ის, რაც ქართველთა ხელმა აჭარაში დასთესა, აღარ არსებობენ სკოლები, კოოპერატივები და კულტურულად მაღალ საფეხურზე მდგომი მხარე დღეს ოსმალეთის ყრუ პროვინციად გადაიქცა... რასაკვირველია, აჭარლებმა იგრძნეს ესეთი ცვლილება, თავისი თვალით ნახეს, თუ როგორ დაინგრა იმ შენობის საძირკველი, რომელსაც თავისუფალი აჭარა თავისუფალ საქართველოში ერქვა; მათ შორის გმინვა გაისმა და ადვილი შესაძლებელია, რომ გმინვა იგი ძლიერ ამოძახილად გადაიქცეს და სულ მოკლე ხანში აჯანყების ტალღამ მოიცვას მოთმინებიდან გამოსული მოძმეთა მხარე... ქართველთა მიერ დათესილი თესლი კეთილი, დარწმუნებულნი ვართ კარგს ნაყოფს გამოიღებს და აჭარელნი შეიგნებენ, თუ ვინ არის მათი მტერი, ან მათი მოყვარე. თავისუფალი აჭარა ვერ მოითმენს მონურ სიცოცხლეს ოსმალთა ხელში და როგორც ერთი კაცი, ისე აღსდგება თავისი „მეს“ დასაცავად. როგორც მოგეხსენებათ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობით აჭარის ბედი თვით აჭარელთ უნდა გადაეწყვიტათ. ეს გაიგეს ჩვენმა მოძმეებმა და მოითხოვენ ამ საკითხის სამართლიანად გადაჭრას, ისინი მოითხოვენ აჭარაში რეფერენდუმის მოხდენას, რათა გამოარკვიონ თუ ვისკენ უჭირავს თვალი აჭარის უმრავლესობას. ეს უკვე გამოფხიზლების ნიშანია. გამოფხიზლების ნიშანია ისიც, რომ ბეგებმა მათი ძველი მნიშვნელობა დაჰკარგეს და თუ გუშინ ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის გარშემო თითქმის მთელი სამაჰმადიანო საქართველო შემოიკრიბა, დღეს იგივე ხიმშიაშვილი დევნილი არის და აჭარელთა რისხვას განიცდის,

ოსმალთა ყურამდის უკვე მიაღწია იმ ამბავმა, რომ აჭარა გმინავს, აჭარა თავისუფლებას მოითხოვს და მათი ჟანდარმერია უკვე მხნედ ამუშავდა, რომ მოთავენი ხელში იგდოს და ღირსეულად გაუმასპინძლდეს. მემედ-ბეგ აბაშიძე, იუსუფ აბაშიძე, ხასან ლორთქიფანიძე, ჯემალ კიკავა და სხვანი უკვე დატყვევებულნი არიან ოსმალთა მიერ, მაგრამ ეს ვერ შეაძრწუნებს აჭარლებს და მათში ერთხელ გადასროლილი სიტყვა სიმართლისა არ მოჰკვდება და სიტყვა იგი მოედება მთელს სამაჰმადიანო საქართველოს... ეს სიტყვა არის—თავისუფალი აჭარა დამოუკიდებელ საქართველოში, აი ლოზუნგი, რომელიც ჰპოვებს პატივისმცემელთ. აი იმ დროშის წარწერა, რომლის გარშემო უნდა შემოიკრიბონ მოძმე-მაჰმადიანები. დამოუკიდებელი საქართველო—აი ის ფაქტორი, რომელმაც ღრმა უფსკრული გასთხარა ოსმალთა და აჭარელთა შორის. ქართველთა სულისკვეთება, რომ მოძმენი მათნი საქართველოს შვილნი იყვნენ, ცუდათ არ ჩაივლის, და დიდი ხნის სურვილი ჩვენი, რომ სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო აღდგენილ იქმნას, როგორც მთლიანი პოლიტიკური ერთეული მარტო სურვილად არ დარჩება და მალე ფრთებს შეისხამს.

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

გავიმეოროთ ჩვენც მგოსნის სიტყვები და ვსასოებდეთ, რომ ცუდათ არ ჩაივლის ის შრომა, რომელიც ქართველობას აჭარაში მიუძღვის...

2

შემაერთებელი ხიდი.

ყველამ, ვისაც კი საქართველოს თანამედროვე ცხოვრებისათვის თვალყური უდევნებია, უწყის, რა დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ კულტურას აჭარაზე. თუ ამ რამდენიმე წლის წინად აჭარელნი თითქმის ველურნი იყვნენ და მის გაუვალ ტყეებში განათლების მზეს ჯერ თვისი მხურვალე სხივები ვერ ჩაეწვდინა, ამ ომის განმავლობაში აჭარამ კულტურის მხრივ შესამჩნევი ნაბიჯი გადადგა. თუ წინად აჭარაში ერთ სკოლასაც ვერ ნახავდით, თუ გინდ სანთლით გეძებნათ, ამ ბოლო დროს ქართველთა წყალობით იქ 75 სკოლა გაიხსნა, რომლებშიაც 2000 მოწაფე იყო 120 მასწავლებლითურთ. საქმე საუცხოვოდ მიდიოდა და ბუნებით დაჯილდოვებული ხალხი ფეხზე წამოდგა და ხარბად დაეწაფა განათლების წყაროს სურდა დამტკბარიყო მისი სიტკბოებით, სურდა ღირსეული ძმა ყოფილიყო თვის უფროს ძმათა, მაგრამ მოვიდა მტერი უხეში და დაანგრია, ის რაც ქართველმა ერმა ააშენა. ოსმალეთისათვის, რასაკვირველია, სახეირო არ იყო ის, რომ მის საზღვრებში ისეთი დაწინაურებული პროვინცია ყოფილიყო, როგორიც არის აჭარა, იმიტომ რომ ოსმალეთის დესპოტიური მთავრობა ხალხის ტანჯვა-ჩაგვრის პრინციპზე აგებული თავის ბედნიერებას ხალხის უბედურობაზე აშენებს, და რაც უფრო ბნელი იქნება ხალხის მასსა, მით უფრო ძლიერ მოუჭერს მთავრობის მუხრუჭი იმავ ხალხს. ოსმალებმა, ხელმძღვანელობდნენ რა ამ პრინციპების მიხედვით, აჭარაში შემოსვლისთანავე ყველა სკოლები მოსპეს და ხალხი ისევ სიბნელეში ჩააგდეს, რომ უფრო ადვილად გაფუცქნენ და ტყავი გააძრონ...

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ, თუმცა ოსმალეთმა აჭარაზე თავისი პოლიტიკური გავლენა გაამეფა, მაგრამ, ამის დაუხედავად ქართული კულტურა, ენა ქართული და ზნე-ჩვეულება ჯერ არ მოსპობილა მოძმე-მაჰმადიანებში და მათ კიდევ დიდი გავლენა აქვთ აჭარლებზე. აჭარის ახალგაზრდობას ისე აქვს შესისხლხორცებული სწორედ ეს ქართული კულტურა, რომ ეხლა ძნელად თუ შეითვისებს ოსმალებისას... მაშასადამე იბადება საკითხი: რა უნდა იყოს ჩვენსა და ჩვენს შორის შემაერთებელ ხიდათ? რა არის იმის თავდები, რომ ჩვენ და აჭარელნი სამუდამოდ არ გავეყრებით ერთმანეთს? ამ კითხვებზე მინდა ცოტა ხნით შევაჩერო მკითხველის ყურადღება, იმ მკითხველის, რომელიც, რასაკვირველია აჭარის საკითხით ცოტად და ბევრად დაინტერესებულია. ერთად-ერთი შემაერთებელ ხიდათ ჩვენსა და მაჰმადიან ქართველთა შორის იქნება ქართული კულტურა. მერე, რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ ეს კულტურა შეტანილ იქმნას აჭარაში? აი მეორე საკითხი. ჩვენის ღრმა რწმენით, რომელსაც მრავალი იზიარებს, ქართული კულტურის შეტანა აჭარაში შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ქართულ სკოლას, ეროვნულ სკოლას. განა გვაქვს შეძლება, ან უფლება, რომ აჭარაში გაიხსნას წმინდა ქართული სკოლა? ამაზე ვუპასუხებ დაინტერესებულ მკითხველთ.. ბათომში არსებობს ეგრედწოდებული რუსთა კულტურულ-ეკონომიური საზოგადოება. ამ საზოგადოებამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რომლის მიბაძვა ჩვენცა გვმართებს. მან გადასწყვიტა და ნებართვა აიღო კიდევაც ოსმალეთის მთავრობიდან ამ წლის ენკენისთვიდან დაარსოს ბათომში რუსული გიმნაზია ყველა საგნები ამ გიმნაზიაში რუსულ ენაზე შეისწავლება და სავალდებულო საგნებად იქნება აღიარებული ენები: ოსმალური, ფრანგული და ინგლისური [illegible] კარგა ხანია რაც დაიწყეს და 70 კაციც იქმნა უკვე მიღებული. ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა რუსთა საზოგადოებამ, ე. ი. იმ საზოგადოებამ, რომელიც უმეტეს ნაწილად მოხელეთაგან შესდგება, რომელსაც ბათომში არავითარი ნიადაგი არა აქვს, რომელიც ომის დამთავრებისთანავე დაიფანტება და თუ ესენი შეძლებენ რუსულ კოლეჯის შენახვას თავის ხარჯით, მით უმეტეს შევსძლებთ ჩვენც, რომელთაც ბათომში უფრო მეტი ნიადაგი გვაქვს მუშაობისა, ვიდრე რუსებს. ჩვენ ბათომთან გვაკავშირებს სამაჰმადიანო საქართველო და მასში უკვე ფესვგადგმული ქართული კულტურა და მით უმეტეს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმის შესახებ, რომ ბათომში გახსნილ იქმნას ქართული კოლეჯი, სადაც ყველა საგნები ქართულ ენაზე შეისწავლება და სადაც ოსმალურსა, ფრანგულსა და ინგლისურს ენებსაც დათმობილი ექნება საპატიო ადგილი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იმედია ყურადღებოთ არ დასტოვებს ბათომს და აჭარას და გადასდებს საჭირო თანხას ბათომში ქართულ კოლეჯის დასაარსებლად... ეს კოლეჯი თავდები იქნება იმისა, რომ ბათომის მკვიდრნი მცხოვრებნი ქალაქს თავს არ მიანებებენ, რითაც ქართული ელემენტი კვლავ ძლიერი იქნება ბათომში. ოსმალური ენის და სჯულის შესწავლით ქართული კოლეჯი მრავალ აჭარელს მიიზიდავს თავის წიაღში. იგი, როგორც ქართული კულტურის მატარებელი, ერთად ერთი შემაერთებელი ხიდი იქნება ჩვენსა და აჭარელთა შორის. ბათომის ქართველმა საზოგადოებამ უკვე აღძრა ეს საკითხი და მრავალი აღმოჩნდა მისი მომხრე. საჭიროა მხოლოდ საქართველოს ინტელიგენციამ მორალური დახმარება გაუწიოს ბათომის საზოგადოებას, საქართველოს მთავრობამ კი ნივთიერი და საქმე საუცხოვოდ დაგვირგვინდება. ვსასოებთ, რომ ხმა ესე არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ბათომს ქართული კოლეჯი დაამშვენებს, ეს არის ერთად ერთი შემაერთებელი ხიდი, ეს არის ერთად ერთი გზა, რომლითაც ქართული კულტურა და ენა კვლავ იმეფებს ჩვენს მოძმეთა მხარეში.

ირაკლი ფერაძე.

ბრძოლა მცხეთაში

17—21 ივნისამდე მცხეთის გარშემო გაჩაღებული იყო გამძვინვარებული ომი, ნამდვილი სამხედრო ტეხნიკით: ჰაეროპლანები, ჯავშნოსანი მატარებელი, არტილერია და სხვ. ერთის მხრივ ჩვენი მთავრობის ჯარები, წითელი გვარდიელები, რაზმელები და მეორეს მხრივ სოფ. წილკანის, ნატახტარისა და მათ ახლო მახლო სოფლებიდან შემდგარი ჯარები. იბრძოდნენ 5 დღეს, უმთავრესი შეტაკება მოხდა ივნისის 20-ს. ჩვენი მხრივ 1,500 კაცი იქნებოდა ამ დღეს, მოპირდაპირე, როგორც ამბობდნენ, 300 კაცზე მეტი იყო. მოპირდაპირემ ისეთი ცოდნა, ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ იმისდა მიუხედავად, რომ არც ჯავშნოსანი ჰქონდა, არც ზარბაზნები, არც ჰაეროპლანები და არც ოფიცრები, მაინც დაგვამარცხა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ მხრივ განსაკუთრებით ისეთი ჯარის-კაცები იღებდნენ მონაწილეობას, რომელთაც ზოგსაც რძე ჰქონდათ ზევით ტუჩებზე და ვინტოვკაც პირველად ეჭირათ ხელში, მოპირდაპირე სოფლელები კი შესდგებოდნენ კარპატებში ნამყოფი ძველი ჯარის-კაცებისაგან ვინტოვკებით და გაბრაზებული მარგილ დაგლეჯილი გლეხთა ჯგუფებისაგან.

იმ დროს, როდესაც საქართველო უნდა ზეიმობდეს თავის განთავისუფლებას, როდესაც მჭიდროდ უნდა შევკავშირდეთ, რომ შევინარჩუნოთ მონაპოვარი, რაც უფრო ძნელია, ვიდრე მოპოვება, ჩვენ ამ დროს იქ, სადაც პირველად წმ. ნინომ აანთო სანთელი ქართველის გასანათლებლად ბნელეთიდან, იქ, სადაც საუკუნოებით არაგვი და მტკვარი ეუბნებოდნენ ტკბილს საგალობელს ქართველის აკვანს, აქ ამ ორ ჩვენს საყვარელ მდინარეთა შესართავთან დღეს ჩვენ გამოვმდგარვართ და შეგნებულად ვეომებით ერთი ერთმანეთს მთელი საომარი ტეხნიკური ძალით.

იმ პირებმა, რომელთაც თვითონ მიიღეს მონაწილეობა პირველად ზარბაზნის სროლაში, ასე გადმომცეს ომის ამბავი. გასულ კვირას მცხეთაში მოვიდა ვიღაც კაპიტანი, გვარი არ ვიცი, მოიყვანა ქუთაისში შედგენილი რაზმი, 41 კაცი. თვის ნებით დადგა „პოსტ“-ზე და აჰყარა იარაღი მცხეთელებს. მანვე აჰყარა იარაღი აბესაძის რაზმს, მცხეთაში რომ იდგა. ეს უკანასკნელნი ძალიან ღელავდნენ: „თუ სოფლელებს ჰყრიან იარაღს, ჩვენ ხომ „პოსტ“-ზე ვართ, ჩვენ რაღად აგვყარა იარაღი იმ კაპიტანმაო, ჩვენ ვიღაზე ნაკლები ბიჭები ვართო“ ეს იყო ორშაბათს ივნისის 17 ს. შემდეგ კაპიტანმა, ტფილისიდან გამოიწვია რაზმი. მოუვიდა 60 ჯარის-კაცი და ერთი ზარბაზანი, რომელსაც 14 კაცი მოსდევდა თავის უფროსით. აი ყველა ცნობები 17, 18, 19 ივნისის გარდმოცემულია ამ ბატარეის უფროსისაგან პოდპრაპორშჩიკ №-გან, რომელმაც პირველი სროლა ასტეხა წილკანში ზარბაზნით კაპიტანის ბრძანებით. ივნისის 20-სა და 21-ს მე პირადად ვიღებდი მონაწილეობას და ჩემი [illegible] გადმოგცემთ. მცხეთიდან კაპიტანი გაეშურა წილკანისაკენ. შეუთვალა სოფელს წარმოადგინეთ იარაღი და დატყვევებული წითელი გვარდიელებიო. ეს წითელი გვარდიელები წინად ყოფილან დუშეთში იარაღის ასაყრელად, დუშეთიდან გაუვლიათ წილკანისაკენ, სადაც ესენი, 60 კაცი დაუტყვევებიათ, თანაც უთქვამთ: „წითელ გვარდიელებს იარაღს ვერ მოგცემთ, ხან ვინ ჩამოგვივლის, ხან ვინ, ყველას სად გაძლიოთ იარაღიო; თუ მთავრობას უნდა იარაღი, რატომ თვითონ არ მოგვთხოვსო. კაპიტანმა შეუთვალა გამოგზავნეთ იარაღი და დატყვევებულებიო, მაგრამ

პასუხს არ დაუცადა და უბრძანა დაეშინათ ზარბაზანი, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი, დაზიანდა სამი სახლი, სკოლა და ეკლესია. ამის შემდეგ წილკანლებმა დაუბრუნეს კაპიტანს 5 კაცი და 6 ვინტოვკა. დანარჩენ ტყვეებსაც დავაბრუნებთ, ისინი მუხრანში არიან გაგზავნილიო. „ხალხნო, რას გვემართლებით რაზე გვანადგურებთ ზარბაზნებითო, თქვენი ძმები არა ვართო. ჩვენ უკვე სოფელში იარაღი ერთად გვქონდა შეგროვილი უნდა წარმოგვედგინა, ზარბაზანი რომ დაგვიშინეთ ნასალდათარმა ბიჭებმა ისევ დაიტაცეს ვინტოვკები, სანამ ცოცხლები ვართ აღარავის მივცემთო. ამის შემდეგ კაპიტანი გაეშურა სხვა სოფლებისკენ, დაუგზავნა ბრძანება იარაღი წარმოადგინეთო, რაზედაც ლანძღვა შემოუთვალეს. ღამე კაპიტანმა უბრძანა დაეშინათ ზარბაზანი, ესეც სისრულეში იქმნა მოყვანილი. აქ დაინგრა ერთი სახლი. მოკვდა სამი, ერთი დაიჭრა.

ივნისის 20-ს მცხეთაში, არ ვიცი ვისი მოთხოვნილებით, ისევ გაიგზავნა ჯარი პოლკოვნიკ ფურცელაძის მეთაურობით. 1 მსროლელთა პოლკი, წითელი გვარდიელები, რაზმელები, არტილერია და კავალერია. სროლა სწარმოებდა 20-ში დილიდანვე ჩვენმა მოპირდაპირემ დიდი ცოდნა და სიცოცხლე გამოიჩინა იმისდა მიუხედავად, რომ არც ოფიცრობა, არც ზარბაზნები მათ არ გააჩნდათ. ჩვენ მხრივ ისეთი ზომები იყო მიღებული, რომ საღამოთი მოპირდაპირე „მეშოკ“-ში უნდა მოექციათ; მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. საღამოთი ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. ამ დღით ბევრი დაიჭრა ორივე მხარეს, ასი კაცი ჩვენგან ტყვედ წაიყვანეს და ჩაიგდეს ხელში 4 ჩვენი ტყვიის-მფრქვეველი. საღამოხანს მეტად ცუდად გრძნობდნენ სადგურზე ჩვენები თავს, მოპირდაპირე ზედ იყო მომდგარი, ამბობდნენ 3,000 კაცზე მეტი არისო. ჩვენი ჯარის-კაცები ამბობდნენ: „კაცო, ვის ვეომებით, ღმერთი არ არის თქვენშიო, ან თუ გვამეშებთ, ისეთი ძალები მაინც გამოგზავნეთ რომ ერთბაშათ შევუტიოთო. იმისდა მიუხედავად, რომ ყოველგვარი ზომა იყო მიღებული, ასეთი ჯარით ვერას გააწყობდნენ, ზოგს თოფი პირველად ეჭირა. მეორე დილას ივნისის 21-ს გარიჟრაჟზე მოვიდა ტფილისიდან ჯავშნოსანი მატარებელი და დაიკავა მცხეთის ხიდი. მოვიდა აგრეთვე სასანიტარო მატარებელი მთელი საექიმო პერსონალით, შუადღისას გამოჩნდნენ ჰაეროპლანები. 12 საათზე დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება. იმათ წარმომადგენლებმა შემოგვჩივლეს: რაზედ გხოცავთ ერთმანეთსო ჩვენ წაგვაჩხუბა ის ვიღაც კაპიტანი იყოო, მოგვივარდა წილკანში, ყველას დაგხოცავთ, თქვენს ქალებს ყველაფერს დაგხდითო და სხვაო“, როგორც გამოირკვა ეს კაპიტანი, კაპიტანიც არ ყოფილა, არც სამხედრო სამსახურში. ივნისის 20-ს ის უნდა დაეტყვევებინათ, მაგრამ გაიქცა ავტომობილით.

ამ ბოლშევიკებმა ისე დააშინეს ბევრი ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი, რომ მათი გაგონება თავზარსაცემს. ერწოში ვინმე პკვა დანთხეული რომ მოვიდეს და შემოთვალოს: „არიქათ, ვიღუპებით, საჭიროა სამხედრო ძალა, გამოგზავნეთო“, ჩვენც მოუფიქრებლად ვგზავნით სამხედრო ძალებს. არ ვიკვლევთ, ვინ თხოულობს ამ ძალებს, ვინ არის ეს კაპიტანი, ვინ მიანდო იარაღის აყრა, ვინ მისცა ნება ყოველ შემთხვევაში ზარბაზანი იხმაროს.

მცხეთის ომის შესახებ საჭიროა გამოირკვეს, რად და ვისთვის იყო საჭირო ეს უბედურება. ჩვენ მხრივ ვიცით, რომ 20 კაცია მოკლული, მოპირდაპირისა მეტი; მრავალია აგრეთვე დაჭრილი; უეჭველია ეს უნდა სისწორით გამოაშკარავდეს. თვითონ სოფლელები ითხოვენ გაგვასამართლეთ, თუ ჩვენ დანაშაული მიგვიძღვის რამე გადაგვახდევინეთო. ამას გარდა რად ხდება ასე, რომ ვინც მოინდომებს ყველას შეუძლია შევარდეს სოფელში და წარუყენოს სხვა და სხვა მოთხოვნილება. ვფიქრობთ, რომ ყველა ეს გამორკვეული იქნება. ვინ ბრძანდება კაპიტანიც და ვინ მიანდო მას ასეთი ძნელი საქმე, როგორც იარაღის აყრაა. „რას გვემართლებით, დამშეულს ხალხს მთელი ხუთი დღე პურს გვილახავთო“.

ექ. ილია ანდრონიკაშვილი.

უკანასკნელიმც ყოფილიყოს

განსვენებულ ვლ. გობეჩიას ვერაგული მკვლელობა ორნაირად აღმაშფოთებელია. ერთი რომ მისი სიკვდილით სამშობლომ დაჰკარგა თავის ბედის მზრუნავი, ერთგული შვილი. მისი თავდადებული დაუღალავი მუშაობა ბევრს პირდებოდა მის საკეთილდღეოთ და ფეხადგმულს, გაუმაგრებელს გამოუცდელს შესამჩნევი ძალა. მეორე არა ნაკლებ მაზედ სამწუხაროა ის, რომ ჩვენ მდგომარეობაში, როდესაც ბავშმაც კი გაიგო მისი მნიშვნელობა და შეფასება იგი არის თურმე ისეთი ვერაგი, ვისაც ჩირად არ მიაჩნია იგი და აზიური დესპოტიზმით გაძღენთილი უმნიშვნელოთ ართმევს სიცოცხლეს სამშობლოსათვის საჭირო შვილს. ტანჯვაზედ და უდანაშაულო მსხვერპლზედ აგებული ჩვენი სამშობლო, რომლის მომავალი შრომისა და პიროვნების პატივისცემაზედ უნდა იქმნეს დამყარებული ასეთებს თავის შვილად ვერ იწამებს და უნდა ვისურვოთ, რომ ისინი უკანასკნელიმც ყოფილიყვნენ და განსვენებულის ნათელ ხსოვნაზედ აღზრდილი ახალი თაობა სავსებით განთავისუფლებული იყოს მათი აჩრდილისაგან.

თ. ჯ—ხა.

მამულისათვის

საქართველოს მოლოდინმა ცამ პირი ჰქმნა როგორც იყო და ელვარე ვარსკვლავი დიდი, დიდი ხნის შემდეგ კეკლუცად ამოციმციმდა. ტანჯვისა და ცრემლის გრდემლზე საქართველო თავის ბედს თვითონა სჭედს და ახალი თავისუფალი ცხოვრებისათვის ემზადება, მაგრამ დიდი შრომა და ჯაფაა საჭირო, ვიდრე იგი ტანჯვისა და ცრემლის სამოსს მოიშორებს და ბისონით და ძოწეულით შეიმოსება. საქართველოს უპირატესი ენერგია სჭირია, დაუღალავი მუშაობა, დაუღალავი მუშაკები, ერთგულება და თავდადება და უფრო კი ფული, ოქროს და ვერცხლის ფული, რომელიც მტკიცე საძირკვლად უნდა დაედოს ჩვენი სამშობლოს პატარა რესპუბლიკას და მომავალ თავისუფალ და ჯანსაღ ცხოვრებას. ოქროს და ვერცხლის მადნები არ გვიმუშავებია, ზღვის გულისთვის სიმდიდრე არ ამოგვიღლეჯია და მაღალ მთების მდიდარი მკერდი არ მოგვიხმარია; ყველა ამას დრო უნდა, ძალის მოკრება, ულევი ენერგია, რაც არ შესწევს ჯერ პაწია საქართველოს. სამაგიეროდ ყველას ჯიბეში უეჭველად ორი-სამი ვერცხლის ფული მაინც უგდია, ყველას უგდია უეჭველად სპილენძის ნაჭები, ძველი და დაჭეჭყილი ოქროს და ვერცხლის ნივთი, თუ ახალს არ გაიმეტებენ, ყველას უგდია გატეხილი სამაჯური, საყურე, ბეჭედი... ზღვა ცვარისაგან შესდგება და ჩვენი მცირე წვლილით შევქმნათ ოქროს ფონდი სამშობლოსათვის, ყველამ წვლილი გავიღოთ მამულისათვის... დახანება სიკვდილია, ყოყმანი—ცოდვაა, მოურიდება—დანაშაული. ვისაც რა გვაქვს, მოწიწებით და წმინდა გულით მივიტანოთ მამულის სამსხვერპლოზე. ჩემი პატარა, ღარიბი ოჯახი წრფელის გულით სდებს თვის მცირე წვლილს ამ სამსხვერპლოზე: მე—ჩემს დიდ ვერცხლის საათს—დედის სახსოვარს. ძვირფასია სახსოვარი, მაგრამ უფრო ძვირფასია პატარა საქართველო. ჩემი მეგობარი ელენე ციცქიშვილი-გძელიშვილი შვიდ მანეთს ვერცხლის ფულად, ხოლო პაწია ნათელას სახელით 3 მანეთს ვერცხლად.

საათსა და ათ მანეთს ვაბარებ ს.-ფედ. გორის ორგანიზაციას დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

ივნისის 21.

სანგანიძე.

ქართული ფულის ფონდისათვის

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მოიტანეს შემოწირულება: თავ. დიმიტრი ვაჩნაძემ: ორი ლითონის მედალი, ვერცხლის სათუთუნე, ვერცხლის ჯოხის ხელი, ავსტრიული ვერცხლის ფული ერთი და ვერცხლის ქეჩონი, სულ ვერცხლი 72 მისხალი, ოქრო: წყვილი ღილი (ზაპონკა) და ძეწკვი, სულ ოქრო 7 მისხ. და 54 ნაწ.; სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსმა პ. ნ. ჩიქოვანმა: სტანისლავა მეორე 1, სტანისლავა 3 ხარ. 1, სამკერდე ვარსკვლავი ერთი და ერთიც ვერცხლის მედალი; ანდრია ივანეს ძე ამზოკაძემ: ანნა მესამე 1, სტანისლავა მესამე 1 და ორი ბრინჯაოს მედალი; დარია რომანოზის ასულმა ამზოკაძემ: ვერცხლის სამარილე, ვერცხლის მაშა და ერთი ვერცხლის ჩაის კოვზი; პოლკოვნიკმა ალექსანდრე გრიგოლის ძე კონიაშვილმა: ანნა მეორე 1 და სტანისლავა მეორე 1; ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის და ალექსანდრე ვასილის ძე აბმეტელის ოჯახთაგან: რუსული ვერცხლის ფულები წონით 29 მისხ. და 36 ნაწ. და დასამტვრევი ვერცხლი 108 მისხ. და 54 ნაწ.; პოლკოვნიკმა ივანე იოსების ძე იადულაშვილმა: ანნა მესამე 1 და სტანისლავა მესამე 1; ექიმმა ნიკოლოზ პავლეს ძე რუხაძემ: სტანისლავა მესამე ერთი, ერთი ვერცხლის გიორგის ჯვარი, ერთი ვერცხლის მედალი და ერთიც ბრინჯაოსი.

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში შემოწირულება მოიტანეს: იაკობ სვიმონის ძე ზედგინიძემ სტანისლავა 3 ხარ. ერთი და ანნა 3-ე ხარ. ერთი; პორ. ალექსანდრე სვიმონის ძე კერესელიძემ გიორგის ჯვრები (ოქროსი) მეორე და მესამე ხარ. და ორი ვერცხლის მედალი; ვერა და ნიკოლოზ ავალიშვილებმა: ორი საზღვარგარეთული ვერცხლის ფული—ერთი ფინური ხუთ-ფენნიანი ფული, ოთხი კაპიკის რუსული სპილენძის ფული და რუსული ვერცხლის ფული თხუთმეტი მან. და სამი აბაზის (15—60); სიონელ მღვდელმა ისააკ ჩეკურაშვილმა: ანნა 2-ე ხარ. 1, ანნა 3-ე ხარ. 1, სამასი წლის იუბილეს ჯვარი ვერცხლისა 1, რუსული ვერცხლის ფული ოთხი მანეთი და ორი მარკის და რუმინული ვერცხლის ფული ერთი ფრანკი და ნახევარი; კოლ. სოვ. იოსებ რევაზის ძე ფალავანდიშვილმა ანნა 2-ე ხარ. 1, სტანისლავა 2-ე ხარ. ერთი, ანნა 3-ე ხარ. ერთი, სტანისლავა 3-ე ხარ. 1 და ორი ბრინჯაოს მედალი; რუსის ჯარის კაცმა, რომელმაც ვინაობა არ განაცხადა ერთი ჯარის კაცის ვერცხლის ჯვარი 4 ხარ.; ნადვ. სოვ. გიორგი დავითის ძე მათეშვილმა სტან. 3-ე ხარ. 1, ბრინჯაოს მედალი ერთიც; ანნა დავითის ასულმა კუშარიტოვმა რუსული სპილენძის ფული შვიდი მანეთისა და ათიშაურის; ტაინ. სოვ. მედიცინის დოქტორმა ილია ზურაბის ძე კოპაძემ ვლად. 3-ე ხარ. 1, ვლად. 4-ე ხარ. 1, ანნა 2-ე 1, ოთხი მედალი, იმათგან ერთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოსი; პოლპოლკ. დავით კლდიაშვილმა სტანისლავა 3-ე ხარ. 1 და ერთი უბრალო მედალი. ყველას ეძლევა სათანადო კვიტანცია.

ღია წერილი

გერასიმე ინწკირველს, ნოე მგელაძეს და ეხე მგელაძეს.

თქვენსა და თქვენთან მჭიდროდ დაკავშირებული პირების განკარგულებაში შარშან ენკენისთვის აქეთ არის ქვეჩამოთვლილი საზოგადო ფულები: 1. ოცდა ათი ათასი მანეთი აბრეშუმის პარკის ფული, რომელიც დღემდის პარკის პატრონებს არ მიუღიათ, 2. ოცდა ხუთი ათასი მანეთი სკოლის შენობის საყიდელი ფული, რომელიც პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოურკვევლობის გამო თავის დანიშნულებაზე არ დახარჯულა, 3. თოთხმეტი ათასი მანეთი სახალხო სახლის ფული, რომელიც იმავე მიზეზის გამო დანიშნულებაზე არ დახარჯულა და 4. რამდენიმე ათი ათასი მანეთი სოფელში მოკრებილი სიმინდის საყიდლად. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი წელიწადია თქვენს განკარგულებაში არის ასი ათას მანეთზე მეტი საზოგადო ფული და თქვენ მონდობილი გქონდათ ს. ბახვში სიმინდი მოგეტანათ და მცხოვრებლებისათვის მიგეწოდებინათ,—თქვენ თქვენი მოვალეობა არ შეასრულეთ. ეხლა ს. ბახვში ისეთი მდგომარეობა არის, რომ საყიდლად სიმინდი არსად არ იშოვება და ხალხი სიმშილს განიცდის. ამიტომ მე, როგორც წევრი ამ სოფლისა მოვითხოვ ეს საქმე ჩემი თანადასწრებით გარჩეულ იქნას საზოგადო კრებაზე. ოღონდ საჭიროდ მიმაჩნია აქვე ავღნიშნო, რომ კრებაზე წამოყენებული კითხვები ნათლად იქმნას გარკვეული და დასმული საკითხები წყდებოდეს უეჭველად ფარულის კენჭის ყრით.

თ. თ. დოლიძე.

ს. ბახვი 1918 წ. ივნისის 10

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ დაგვებეჭდოთ შემდეგი წერილი: ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ქ. ტფილისის მოქალაქეს გრიგოლ გარსევანის ძე რატიანს, რომელმაც შემოსწირა ჩვენი ხონის უფასო სამკითხველოს ასი მანეთი თავის ბიძის ნესტორ იაგორისძე რატიანის ხსოვნის აღსანიშნავად გვირგვინის ნაცვლად.

გამგეობის თავმჯდომარე
მათე ხახტაძე

—

პატივცემულო მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ,

იმ წერილის გამო, რომელიც პოლკოვნიკმა აბესაძემ გაზეთ „ვოზროჟდენიე“-ში ამ თვის 23 მოათავსა, მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ პოლკოვნიკი აბესაძე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საქართველოს სამხედრო გზის დაცვა, გადაყენებულია ამ თანამდებობიდან, რადგანაც ის რაზმი, რომლის სათავეში პოლკოვნიკი იდგა და რომელსაც უნდა დაეცვა ხსენებული გზა დაცვის მაგიერ, როგორც ამას ამტკიცებდა დუშეთის მაზრის რევოლიუციონური ორგანიზაციები და სხვა-და-სხვა თანამდებობის პირები ყაჩაღობდენ, მგზავრებს და სახელმწიფო ქონებას სძარცვავდნენ ხალხს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებდნენ და სხვა. რის გამო იმავე ორგანიზაციების და პირების დადგენილებით, ხსენებულ რაზმს მცხეთაში და დუშეთში იარაღი აყარეს. რაც შეეხება სამხედრო გზის დაცვას ეს საქმე, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს პოლკ. აბესაძე,—მიენდო ტფილისის გუბერნიის კომისარს, რომლისგანაც მსურველთ შეუძლია გაიგონ თუ რა ხდებოდა და რა ხდება ამ ჟამათ სამხედრო გზაზე.

ტფ. გუბერნიის კომისარი
ა. ჯაფარიძე

გამომცემელი
[illegible]
[illegible] მთავარი კომიტეტისა

კბილის ექიმის
ვ. ი. ჭიჭინაძის
კაბინეტი
ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. ი. ჭიჭინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.
მიხეილის პროსპ. 72. 591

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოის 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბაგრატიონის ქუჩა, № 7. 2150

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მაისის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1155

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მიხაკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს სამებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

მედიცინის დოქტორი
მოსკოვის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—6 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, სამებიო და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიონოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., კვირის გარდა. მისამართი [illegible] ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] ტელეფ. 5—71. 1080

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, საშარდე და სასქესო ორგანოს სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 209

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამოლის კინო-თეატრის მახლობლად), [illegible] და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

მარტის 10 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფობათვის
ექიმებ [illegible]
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და „კირილიანის“ ქუჩ. კუთხე № 32 (შესავალი კირილიანის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.
ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.
ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
ი. ი. გერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 3. 450

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებული 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
„606“ და „914“ 8—12 ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის, ავადმყ.)
ვ. ი. მაჩნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდის.
ბ. გ. ავახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ. ხარიბულაროვი: 1—2 ს. ქალებისა და სამებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

სავაჭრო სახლი
„კომერსანტი“
კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.
ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი“-ს შემწეობით.
„კომერსანტს“ ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.
„კომერსანტი“ თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დღეებში შეიძლება მისი შეძენა.
„კომერსანტებს“ აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიანთ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.
„კომერსანტი“ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორდოვომი“. 1160

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14